

MAC GEORGIA

# ᲡᲐᲞᲠᲝᲗᲔᲖᲝ -ᲝᲠᲗᲝᲞᲔᲓᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲝᲜᲔᲜᲢᲘ

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

**სოციალური მომსახურების სააგენტოს ცხელი ხაზი:** **1505**

# ვინ არის პროგრამის მოსარგებლე?



საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმის საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირი



საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმის საჭიროების მქონე შშმ ბავშვი



ანოფალმის (ICD კოდი-10-Q11.1) და მიკროფთალმის (ICD-10 კოდი-Q11.2) მქონე პირები

# პროგრამაში ჩართვისათვის საჭიროა:

- მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს სახელზე დაწერილი განცხადება, რომლის წარდგენა შეუძლია, როგორც პროგრამით სარგებლობის მსურველს, ასევე მის კანონიერ წარმომადგენელს. **განცხადების წარდგენა შესაძლებელია სოციალური მომსახურე-ბის სააგენტოს რაიონულ განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;**
- პროგრამის მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი);
- კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობა ან პასპორტი) ასლი, ხოლო მინდობით აღზრდის შემთხვევაში მინდობით აღზრდის ხელშეკრულება;
- შშმ პირის (მათ შორის, შშმ ბავშვების) სტატუსის დამადასტურე-ბელი დოკუმენტი და მისი ასლი (საპენსიო მოწმობა) გარდა თვალის პროთეზისა და 3 წლამდე ასაკის ბავშვების ორთეზის საჭიროებისას, ასევე გულ-მკერდისა და წელის დონის 18 წლამდე ასაკის მეორე და მეტი ხარისხის სკოლიოზის მქონე ბავშვების შემთხვევაში);
- სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი - ფორმა N IV-50/2. აღნიშნული ფორმის აღება შეიძლება იმ სამედიცინო დაწესებულებაში, ვისაც აქვს შშმ სტატუსის დადგენის შესაბამისი უფლება. ფორმის აღება რეკომენდებულია პროგრამაში ჩართვამდე არაუადრეს 30 კალენდარული დღის;
- თვალის პროთეზის შემთხვევაში პირზე გაცემული სამედიცინო ფორმა 100/ა;
- ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ცნობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

***შენიშვნა:*** *პროგრამაში ჩართვის შემდგომ მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოსგან მიიღებთ პროგრამით სარგებლობისათვის საჭირო, ეგრეთწოდებულ ვაუჩერს. ვაუჩერის გამოყენების პირობებს გაეცნობით თანდართულ წერილში.*

# სერვისის მიწოდების სტანდარტები

» ქვედა კიდურის ყველა დონის ამპუტირების შემთხვევაში – ქვედა კიდურების პროთეზების შერჩევა, დამზადება და მორგება;

» ზედა კიდურის ყველა დონის ამპუტირების შემთხვევაში – პროთეზის შერჩევა, დამზადება და მორგება;

» ორთეზების შერჩევა, დამზადება და მორგება;

» თვალის პროთეზის ( სტანდარტული ან ინდივიდუალური) შერჩევა/დამზადება და მორგება (თვალის ღრუს ეგზოპროთეზირება);

» საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმის მიღებიდან 12 თვის განმავლობაში შესაძლოა საგარანტიო მომსახურება მისი გამოცვლის, ხოლო თვალის პროთეზის შემთხვევაში, 24 თვის განმავლობაში საგარანტიო მომსახურება მისი გამოცვლის ჩათვლით, თუ შესაბამისი ნაწარმის მწყობრიდან გამოსვლა არ უკავშირდება ფიზიოლოგიურ ცვლილებას, დაავადებას ან ტრავმით გამოწვეულ ცვლილებას, წინასწარ განზრახულ დაზიანებას ან არადანიშნულებისამებრ გამოყენებას;

» ინდივიდუალური ტრენინგებისა და სპეციალური სწავლების ჩატარება ბენეფიციართათვის გადაცემული საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმის უსაფრთხო და შეძლებისდაგვარად ხანგრძლივი ექსპლუატაციის მიზნით.

» ქვედა კიდურის პროთეზირების საჭიროების მქონე პირთათვის აუცილებლობისა და ასეთი მომსახურების შესაძლებლობის შემთხვევაში, მომხმარებელთა სადღეღამისო განთასების უზრუნველყოფა (განცალკევებული განყოფილება ადაპტირებული ტუალეტითა და აბაზანით, საჭირო ინვენტარითა და შშმ პირთათვის ადაპტაციის საშუალებით) .

# როგორ ხდება საპროთეზო–ორთოპედიული ნაწარმის გაცემა?

» საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმის გაცემა ხდება მატერიალიზებული ვაუჩერით
» ვაუჩერის დაფინანსების ლიმიტები იხილეთ დანართში N1

| კომპონენტით გათვალისწინებული საქონლის (მომსახურების) სახეობა | | ლიმიტი (ლარი) |
|---|---|---|
| I. | პროთეზირება | |
| **1.** | **ქვედა კიდურის პროთეზირება** | |
| 1.1. | პროთეზი ტერფის ნაწილობრივი ამპუტაციისას და კოჭ-წვივის სახსარში ამოსახსვრისას ლამინირებით | 1300 |
| 1.2. | პროთეზი ტერფის ნაწილობრივი ამპუტაციისას და კოჭ-წვივის სახსარში ამოსახსვრისას ლამინირებით, სილიკონ-ლაინერით | 3900 |
| 1.3. | პროთეზი ტერფის კოჭ-წვივის სახსარში ამოსახსვრისას, სილიკონ-ლაინერის გარეშე | 1400 |
| **1.2.** | **მუხლს ქვედა პროთეზი** | |
| 1.2.1. | მუხლს ქვედა მოდულური პროთეზი ლამინაციური ბუდით, 2 სილიკონ-ლაინერით, საჭიროების შემთხვევაში ჩამკეტით. 18 თვიანი გარანტიით. | 3770 |
| 1.2.2. | მუხლს ქვედა მოდულური პროთეზი ლამინაციური ბუდით სილიკონ-ლაინერის გარეშე. | 2327 |
| 1.2.3. | მუხლს ქვედა პროთეზირება – სილიკონ-ლაინერის შეცვლა | 550 |
| 1.2.4. | მუხლის ქვედა პირველადი პროთეზირებისას – განმეორებითი ბუდის დამზადება და 2 სილიკონ-ლაინერი შეცვლა | 1600 |
| 1.2.5. | მუხლს ქვედა პირველადი პროთეზირებისას – განმეორებითი ბუდის დამზადება ლამინაციით | 600 |
| **1.3.** | **პროთეზი მენჯ-ბარძაყის ამოსახსვრისას** | |
| 1.3.1. | მოდულური პროთეზი მენჯ-ბარძაყის ამოსახსვრისას ლამინაციური ბუდით 2 წლიანი გარანტიით | 4290 |
| **1.4.** | **მუხლს ზედა პროთეზი** | |
| 1.4.1. | მუხლს ზედა მოდულური პროთეზი ლამინაციური ბუდით, მუხლის სახსრით, 2 სილიკონ-ლაინერით, საჭიროების შემთხვევაში ჩამკეტით, 18 თვიანი გარანტიით | 5135 |

| | | |
|---|---|---|
| 1.4.2. | მუხლს ზედა მოდულური პროთეზი ლამინაციური ბუდით სილიკონ-ლაინერის გარეშე | 3614 |
| 1.4.3. | მუხლს ზედა პროთეზი ხის კვანძით – ხის მიმღებით, ტყავის ან ლითონის მიმღებით და ლითონის კარკასით | 1500 |
| 1.4.4. | მოდულური პროთეზი მუხლის ამოსახსვრისას ლამინაციური ბუდით | 4380 |
| 1.4.5. | მოდულური პროთეზი მენჯ-ბარძაყის ამოსახსვრისას ლამინაციური ბუდით, 2 სილიკონით | 5900 |
| 1.4.6. | მუხლს ზედა პროთეზირება – სილიკონ-ლაინერის შეცვლა | 690 |
| 1.4.7 | მუხლს ზედა პროთეზირება პირველადი პროთეზირების შემთხვევაში – განმეორებითი ბუდის დამზადება და 2 სილიკონ-ლაინერის შეცვლა | 1800 |
| 1.4.8. | მუხლს ზედა ამპუტაციისა და მუხლის ამოსახსვრის პირველადი პროთეზირებისას - განმეორებითი ბუდის დამზადება ლამინაციით | 800 |
| **2.** | **ზედა კიდურის პროთეზირება** | |
| 2.1. | იდაყვს ზედა პროთეზი | |
| 2.1.1. | იდაყვს ზედა მოდულური პროთეზი ლამინაციური ბუდით | 4342 |
| 2.1.2. | იდაყვს ზედა მოდულური პროთეზი ლამინაციური ბუდით, სილიკონ-ლაინერით | 7410 |
| 2.2. | იდაყვს ქვედა პროთეზი | |

| | | |
|---|---|---|
| 2.2.1. | იდაყვს ქვედა მოდულური პროთეზი ლამინაციური ბუდით | 3250 |
| 2.2.2. | ხელის მტევნის (კოსმეტიკური) პროთეზი უცხოური წარმოების კვანძით | 1690 |
| 2.2.3. | იდაყვს ქვედა მოდულური პროთეზი ლამინაციური ბუდით, სილიკონ-ლაინერით | 6150 |
| II. | **ორთეზირება** | |
| 1. | ტერფის ორთეზი კოჭ-წვივის სახსრის ჩართვით | 182 |
| 1.1 | ტერფის ორთეზი კოჭ-წვივის სახსრის ჩართვით, მოძრავი კოჭ-წვივის სახსრით | 350 |
| 2. | ორთეზი მუხლისა და კოჭ-წვივის სახსრის ჩართვით | 1092 |
| 3. | მუხლის ორთეზი | 910 |
| 4. | ორთეზი მენჯ-ბარძაყის, მუხლისა და კოჭ-წვივის სახსრების ჩართვით | 1287 |
| 5. | ორთეზი იდაყვს ქვედა | 130 |
| 6. | ორთეზი იდაყვის სახსრის ჩართვით | 234 |
| 7. | ორთეზი კისრის დონეზე | 195 |
| 8. | ორთეზი გულ-მკერდისა და წელის დონეზე | 910 |
| 9. | ორთეზი წელის დონეზე | 747 |
| III. | **თვალის პროთეზირება** | |
| 1. | თვალის სტანდარტული პროთეზი | 280 |

# ვინ სარგებლობს ვაუჩერის 100%-იანი დაფინანსებით საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის შემთხვევაში?

- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები;
- სპეციალიზებულ სადღეღამისო დაწესებულებებში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მცხოვრები ბენეფიციარები;
- პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირები;
- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრები, რომელთა სარეიტინგო ქულა კომისიის მიერ ვაუჩერის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის არ აღემატება 120 000-ს;
- ასაკით პენსიონერები (ქალები 60 წლიდან, მამაკაცები - 65 წლიდან);
- ორი და ორზე მეტი საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმის (გარდა ორთეზისა) საჭიროების მქონე პირები;
- „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 და მე-12 მუხლებით განსაზღვრულ პირებს;
- დანარჩენი ბენეფიციარები დაფინანსდებიან ვაუჩერის დაფინანსების ლიმიტის 90%-ის ფარგლებში, საქონლის (მომსახურების) ფაქტობრივი ღირებულების 90%-ით.

## რეგისტრაციის დიაგრამა

IV-100/ა

**სამედიცინო ფორმა 100-ის** მისაღებად მიმართეთ უბნის პედიატრს, რომელიც გადაგამისამართებთ ექიმ-ექსპერტთან. პროცედურის დაცვისა და შესაბამისი სადაზღვეო პაკეტის გათვალისწინებით სამედიცინო ფორმის აღება რიგ შემთხვევაში შეიძლება იყოს უფასო.

IV-50/4

საპენსიო მოწმობას, **სტატუსს შეზღუდული შესაძლებლობის ქონის შესახებ,** გასცემს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებები. უახლოესი სამედიცინო დაწესებულების მისამართის გასაგებად დარეკეთ ბავშვთა დახმარების უფასო ცხელ ხაზზე - 111

IV-50/2

**სამედიცინო ფორმა IV-50/2,** გასცემს ის სამედიცინო დაწესებულება, სადაც გაიცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მოწმობა. აღნიშნულ ფორმაში იქნება მითითებული იქნება დამხმარე საშუალების დასახელება.

ვაუჩერი

ჩამოთვლილი ფორმების დამზადების შემდეგ, პროგრამით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად, მიმართეთ **სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს** +(995 32) 2 39 53 11. განცხადება ვაუჩერის მოთხოვნის შესახებ იწერება ადგილზე.

## ხშირად დასმული კითხვები:

**1.თუ პედიატრმა არ გადაამისამართა ჩემი შვილი ექიმ-ექსპერტთან, რაც ვთვლი რომ აუცილებელი იყო, ვის შეიძლება დავუკავშირდე?**

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 14 81

---

**2.ვინ არის ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია?**

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
ონლაინპლატფორმა: www.sheaghe.ge
**ცხელი ხაზი: 0 800 900 902**

---

**3.სად შეიძლება გავიარო პროთეზირების შემდგომი რეაბილიტაციის კურსი და ფინანსდება თუ არა ის სახელმწიფოს მიერ?**

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11
ონლაინპლატფორმა: www.sheaghe.ge
**ცხელი ხაზი: 0 800 900 902**

---

**4.რომელ სამედიცინო დაწესებულებას უნდა მივაკითხო ჩემს რეგიონში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მიღების მიზნით?**

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11
ონლაინპლატფორმა: www.sheaghe.ge
**ცხელი ხაზი: 0 800 900 902**

---

**5.საგარანტიო ვადის გავლის შემდეგ, პროთეზის/ორთეზის დაზიანების შემთხვევაში, რა ტიპის სერვისის მიღება არის შესაძლებელი უფასოდ?**

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11

---

**6.ვის შეიძლება მივმართო თუ გვიანდება პროგრამით გათვალისწინებული ვაუჩერის მიღება ან არ ხდება ვაუჩერით განსაზღვრული მომსახურეობის მიღება?**

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11
ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 14 81





MAC GEORGIA

ააიპ „მაკ“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2008 წელს დაარსდა. ორგანიზაციის მიზანია, დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, მოზარდებსა და მათ ოჯახებს.

კავსაძის ქ. 3, თბილისი 0179
+995 32 197 378
უფასო ცხელი ხაზი: 0 801 200 202